

მედიასა და სოციალურ ქსელებში „ფაქტ-მეტრის“ თანამშრომელთა ქცევის კოდექსი

სოციალური მედია ინფორმაციის გავრცელებისა და მიღების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია. სწორედ სოციალური ქსელების საშუალებით ხდება საზოგადოებასთან და აუდიტორიასთან ურთიერთობის დამყარება. აქედან გამომდინარე, სოციალურ ქსელებში ადამიანების საქმიანობა გავლენას არა მარტო ამ კონკრეტული პიროვნების, არამედ იმ ორგანიზაციის იმიჯზეც ახდენს, რომელშიც ის დასაქმებულია. ამასთან, ტრადიციული მედია საქართველოში კვლავ ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროდ რჩება.

წინამდებარე დოკუმენტი, ორგანიზაციაში მოქმედი შინაგანაწესის პარალელურად, საერთოა „ფაქტ-მეტრის“ თითოეული თანამშრომლისთვის, განურჩევლად მისი თანამდებობისა და მოიცავს იმ წესების ერთობლიობას, რომელთა შესრულებაც როგორც „ფაქტ-მეტრის“ ინდივიდუალური თანამშრომლის, ასევე, „ფაქტ-მეტრის“ რედაქციისა და მისი საქმიანობის პოლიტიკური მიუკერძოებლობისა და ნეიტრალურობის პრინციპების დაცვის ნაწილია.

წესები მტკიცდება „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ დირექტორის მიერ.

წესების დარღვევისთვის სანქციები განსაზღვრულია შინაგანაწესის შესაბამისად.

წესი 1

„ფაქტ-მეტრის“ თანამშრომელს საკუთარ სოციალურ ქსელში უფლება აქვს განათავსოს მისთვის საინტერესო ნებისმიერი შინაარსის კონტენტი, თუ ამ კონტენტის შინაარსი არ ეწინააღმდეგება ორგანიზაციის მიერ დადგენილი წესების, შინაგანაწესის ნორმების და ზოგადი ეთიკის პრინციპებს.

წესი 2

„ფაქტ-მეტრის“ თანამშრომელს სოციალურ ქსელში შეუძლია შევიდეს კომუნიკაციაში მისთვის საინტერესო თემაზე ნებისმიერ სხვა მომხმარებელთან, უპასუხო სუბიექტებს ან თავად დასვას შეკითხვები სხვადასხვა მისთვის აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა ამ კომუნიკაციის ფორმები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ორგანიზაციის შინაგანაწესით განსაზღვრულ პრინციპებსა და საყოველთაოდ აღიარებულ ეთიკურ ნორმებს.

წესი 3

„ფაქტ-მეტრის“ თანამშრომელს ეკრძალება სოციალურ ქსელში აქტივობისას თუ მედიაში კომენტარებისას არანორმატიული ლექსიკის, სიძულვილის ენის, უხამსი და ბილწი სიტყვების გამოყენება. მათ შორის ეკრძალება ამგვარი ქმედება სხვების (მესამე პირის/პირების) მხრიდან ანალოგიური ქმედებების საპასუხოდაც.

წესი 4

„ფაქტ-მეტრის“ თანამშრომლებს, როგორც სამოქალაქო საზოგადოების წევრებს, შესაძლოა ჰქონდეთ ინდივიდუალური დამოკიდებულება სხვადასხვა პოლიტიკური საკითხის გარშემო. თუმცა, დაუშვებელია მათ „ფაქტ-მეტრის“ სახელით დააფიქსირონ პოლიტიკური პოზიცია. ამასთან, „ფაქტ-მეტრის“ თანამშრომელმა კონკრეტულ პოლიტიკოსსა თუ პოლიტიკურ პარტიას საჯაროდ მხარი არ უნდა დაუჭიროს.

წესი 5

თანამშრომელმა არ უნდა გააზიაროს გადაუმოწმებელი ან/და ყალბი ამბის შემცველი ინფორმაცია. თანამშრომელი შეიძლება ამგვარ პოსტს გამოეხმაუროს მხოლოდ დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით და საკუთარი საქმიანობის ფარგლებში.

წესი 6

შეცდომით გამოქვეყნებული პოსტი სოციალურ მედიაში უნდა გასწორდეს იმგვარად, რომ მკითხველი/მნახველი/მსმენელი მარტივად აღიქვამდეს, რომ პოსტის პირველ ვერსიაში დაშვებული იყო შეცდომა და ეს შეცდომა გამოსწორებულია.

წესი 7

დაუშვებელია „ფაქტ-მეტრის“ თანამშრომელმა „ფაქტ-მეტრის“ სახელით გააკეთოს რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის ან პოლიტიკოსის არჩევნებში მხარდაჭერის მოწოდება.